16/11/2018

# 100 000 მოწამის დღე

ა.წ. 13 ნოემბერს, 17:00 საათზე, მეტეხის ხიდზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად გადაიხადა 100 000 მოწამის პარაკლისი და დაესწრო საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნის“ მიერ ორგანიზებულ შემოქმედებით კონცერტს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა _ ,,ბინული”, ,,ნართები”, ,,ფიროსმანი;” მომღერალმა _ ციური მჭედლიძემ, მსახიობმა _ ზვიად დოლიძემ და შემოქმედებითმა გაერთიანებამ _ ,,ეროვნული იმპერატივი”.

ღონისძიებას ესწრებოდენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბ-ნი მამუკა ბახტაძე, თბილისის მერი ბ-ნი კახი კალაძე, დამოუკიდებელი საპრეზიდენტო კანდიდატი ქ-ნი სალომე ზურაბიშვილი და სხვა ოფიციალური პირები.

მისმა უწმინდესობამ, პრემიერ-მინისტრმა და თბილისის მერმა მოსახლეობას 100 000 მოწამის დღე მიულოცეს.

,,ქართველებო, ჩვენ ვდგავართ წმინდა ადგილზე, წმინდა მიწაზე. ჩვენ ვდგავართ 100 000 ქართველის სისხლზე. შევთხოვთ უფალს, რომ 100 000 მოწამის ლოცვებით

, რადგან
ი ორთავ
.